დრიუ ლონგეიქორი

ჰელსინკის უნივერსიტეტი

გენეალოგიური და ლიტერატურული კავშირები: წინაპირობა ტექსტის ისტორიის აღსაწერად

მას შემდეგ, რაც მოკლედ მიმოვიხილავთ ტექსტის ისტორიების რამდენიმე მნიშვნელოვან, მაგრამ ურთიერთსაწინააღმდეგო აღწერილობას, შევეცდებით გამოვკვეთოთ გადაკვეთისა და განშტოების წერტილები ისეთი ორი განსხვავებული, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული პერსპექტივიდან, როგორებიცაა გენეალოგიური და ლიტერატურული თვალთახედვა. უძველეს ხელნაწერებში დაცული ტექსტები გადაწერილია უფრო ადრინდელი წყაროებიდან. გადაწერის პროცესის აუცილებელი თანმდევია შეცდომები და ზოგჯერ წინასწარგანზრახული ცვლილებებიც. როგორც წესი, ხანგრძლივი ლიტერატურული ტრადიციების მქონე ხელნაწერები ერთმანეთთან ერთგვარი, დონორ-რეციპიენტის ურთიერთობის მსგავსი, ხაზოვანი წყებებით არიან დაკავშირებულნი. ეს კავშირები იდეალურად აღიწერება გენეალოგიური თვალსაზრისით, როდესაც უკუგდებულია იმ ცვლილებების ლიტერატურული ღირებულება, რომლებიც გადამწერებმა შეიტანეს წყაროს ტექსტში. დონორ-რეციპიენტის კავშირის ამსახველ გენეალოგიურ ჩონჩხს კი შეიძლება ხორცი შევასხათ ამ ცვლილებათა ლიტერატურული ღირებულებისა და წყარო-ტექსტებთან წარმოქმნილი ახალი კომბინაციების გაანალიზებით.

ამგვარად შევძლებთ უფრო ადეკვატური კითხვები დავსვათ ლიტერატურულ ტრადიციათა საზღვრებისა და ახლადწარმოქმნილი ტექსტების ორიგინალურობის შესახებ და ობიექტურად აღვწეროთ ტექსტთა დონორიდან რეციპიენტში გადადენის გენიალოგიური გზა.